სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

პროფესორი ნანა გორგასლიძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი თამაზ ჭუმბურიძე

ასოცირებული პროფესორი ნათია კვიჭინაძე



ასოცირებული პროფესორი ნინო ნემსიწვერიძე

სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

ასისტენტ-პროფესორი თეა ზარქუა

ასისტენტ-პროფესორი ნანა დუღაშვილი



ასისტენტ-პროფესორი ნესტან ნიკურაძე

სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და ისტორია, ისწავლებოდა 1926 წლიდან თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის, ფარმაციისა და ფარმაკოგნოზიის კათედრაზე (გამგე- ფარმაციის მაგისტრი ედუარდ აბოლი).

1935-1949 წლებში, წამალთა და გალენური პრეპარატების ტექნოლოგიის კათედრაზე (გამგე -დოცენტი ირაკლი ბურჯანაძე). 1949-1972 წლებში, წამალთა ტექნოლოგიის კათედრაზე (გამგე პროფესორი პეტრე გელბახიანი).

1972-1990 წლებში, აღნიშნული საგანი ისწავლებოდა წამალთა ტექნოლოგიის კათედრაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ლევან ჩხარარაშვილი. მისი დიდი ძალისხმევით და რექტორის მხარდაჭერით, 1990 წელს, წამალთა ტექნოლოგიის კათედრა გაიყო ორად და ცალკე ჩამოყალიბდა ფარმაცევტული საქმის ორგანიზაციისა და ეკონომიკის კათედრა, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე (1992 წ.) ხელმძღვანელობდა თვითონ ბატონი ლევან ჩხატარაშვილი. 1992-1997 წელებში კათედრას ხელმძღვანელობდა პროფესორი გურამ ცაგარეიშვილი. შემდეგი ათი წლის განმავლობაში, 1997-2017 წ. კათედრას სრული პროფესორი ვაჟა ერიაშვილი ხელმძღვანელობდა. ამ პერიოდში კათედრას სამჯერ შეეცვალა სახელი: 2001 წელს ეწოდა სოციალური ფარმაციისა და ფარმაცევტული საქმის ორგანიზაციის კათედრა, შემდგომ 2003 წლიდან-სოციალური და კლინიკური ფარმაციის კათედრა, 2006 წლიდან -სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი. 2017 -2020 წლებში დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა პროფესორი თამაზ ჭუმბურიძე.

2020 -დან დღემდე დეპარტამენტის ხელმძღვანელია - პროფესორი ნანა გორგასლიძე, [კათედრაზე მუშაობს 1980-90წწ-ასისტენტად; 1997-2006 წლამდე - დოცენტის თანამდებობაზე; 2013-2020 წწ- ასოცირებული პროფესორი].

სხვადასხვა დროს კათედრაზე მოღვაწეობდნენ: დოცენტები და უფროსი მასწავლებლები: გ. ჩიხლაძე, პ. გელიაშვილი, რ. სხილაძე, ბ. ბოჭორიშვილი, ჯ. ენუქიძე, ი. მურღულია, გ. წოწორია. ასისტენტები- მ. რევიშვილი, ნ. ჩაჩანიძე, ნ. ნიკურაძე, შ. გრძელიშვილი, უფროსი ლაბორანტები: ნ. ბახტაძე, ნ. კილასონია, მ. ჩხეიძე, ნ. იამანიძე, ნ. კვიჟინაძე, გ.პაპაშვილი.

დეპარტამენტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებებია: ფარმაცევტული დაწესებულების და საქმიანობის მართვის პრინციპები; ფარმაცევტის და პაციენტის ურთიერთობის ასპექტები; ”სამკურნალო საშუალებების ფარმაკოეკონომიკური და მარკეტინგული კვლევა,” “ფარმაცევტული საქმიანობის მენეჯმენტი”. დეპარტამენენტში ისწავლება ძირითადი დისციპლინები: ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია და ეკონომიკა; ფარმაცევტული ზრუნვა, კლინიკური ფარმაცია, ფარმაცევტული ეთიკა და დეონტოლოგია. კომუნიკაციური უნარჩვევები. არჩევითი დისციპლინები: ფარმაცევტული პროდუქტის საქონელმცოდნეობა, ფარმაცევტული მენეჯმენტი და მარკეტინგი. ფარმაცევტული ინფორმაცია და კომუნიკაცია. დეპარტამენტის ბაზაზე ფუნქციონირებს სამაგისტრო პროგრამები “ფარმაციის მენეჯმენტი ” და “კლინიკური ფარმაცია”.

დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი ნანა გორგასლიძე. ასოცირებული პროფესორები- თამაზ ჭუმბურიძე,ნათია კვიჟინაძე და ნინო (ნინუკა) ნემსიწვერიძე. ასისტენტ პროფესორები - ნესტან(ნელი) ნიკურაძე, თეა ზარქუა ნანა დუღაშვილი, ერთი მოწვეული პედაგოგი - ნანა იამანიძე, და ერთი ლაბორანტი -იოსებ (სოსო) თომაძე.